



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია  
GEORGIA  
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY



ბრძანება: ბ48.48210262

თარიღი: 26/01/2021

**„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის  
დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის**

**2020 წლის 20 ნოემბრის №ბ48.48203253 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-4 მუხლის 1<sup>1</sup> და მე-3<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. შეტანილი იქნას ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 20 ნოემბრის №ბ48.48203253 ბრძანებაში და ამ ბრძანების დანართი („ePLAN“) დამტკიცდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის).
2. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებას (ა. გელენიძე), დადგენილი წესით უზრუნველყოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ცვლილების რეგისტრაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის „ePLAN“ მოდულში.
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს ვივალდებ პირადად.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი



გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

